პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 276 (5377) | შაბათი, 3 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

წრეების მუშაობა აგებულ უნდა იქნას ცოცხალი საუბრისა და ამხანაგური დისკუსიის საფუძველზე. წრეებიდან გადაჭრით განდევნილ უნდა იქნას მავნე სკოლარულ-ადმინისტრატიული მეთოდები, კაზიონურობა და სქემატიზმი, რაც აფერხებს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების იდეურ აღზრდას. პროპაგანდისტები ამხანაგურ ახსნა-განმარტებას უნდა იძლეოდნენ წრის წევრთათვის საინტერესო საკითხებზე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოქვეყნებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

## სანიმუშოდ მოვემზადოთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა გადატანილია 1939 წლის 1 აგვისტოსათვის.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იქნება მკაფიო დემონსტრაცია სოციალიზმის ძლევამოსილი გამარჯვებისა სოფლად. ეს იქნება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ბრწყინვალე მიღწევათა და გამარჯვებათა გენერალური დათვალიერება.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო ...

... მოემზადონ გამოფენისათვის. მაგრამ ზოგან ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ შეუგნიათ. მიუხედავად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს რესპუბლიკური საგამოფენო კომიტეტის დროული მითითებისა, გამოფენისათვის მზადება მთელ რიგ რაიონებში ისევ არადამაკმაყოფილებელია. ამას მოწმობს საქართველოს სს რესპუბლიკის საგამოფენო კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმება ადგილებზე და „კომუნისტის" კორესპონდენტებისაგან მიღებული სიგნალები.

ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, ...

... ნის სოფ. ლამისყანის კოლმეურნეობის ჯგუფის ხელმძღვანელმა ილია მაჭარაშვილმა წელს ჰექტარზე 1000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი აიღო. ასეთი მაგალითები ბევრია.

ჩვენს წინაშეა დიდი საორგანიზაციო სამუშაო. მთელი ჩვენი ქვეყანა თვალყურს ადევნებს ყველა იმათ მუშაობას, ვინც იბრძვის იმისათვის, რათა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლება მოიპოვოს, ვისაც სურს დაანახვოს 1937 და 1938 წლის თავისი სახელოვანი შრომის შედეგები.

ადგილობრივ პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საუკეთესოდ მუშაობის საუკეთესო მაგალითების პროპაგანდა. გულდასმით უნდა შევისწავლოთ მოწინავეთა გამოცდილება, საუკეთესო კოლმეურნეობის, ბრიგადის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმის გამოცდილება ხელმისაწვდომი გავხადოთ სოციალისტური სოფლის მთელი მასისათვის.

გამოფენაში მონაწილეობის უფლება—ეს არის ყველაზე საპატიო უფლება. ყოველივე ეს გვიკარნახებს სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი გამოფენის მზადებაში, რათა ორდენოსანი საქართველოს აყვავებულმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ საპატიო ადგილი დაიკავოს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე.

## საქართველოს და დონბასის მაღაროელთა შეჯიბრება

### ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ყველა სტახანოველს, მუშებს, მუშა-ქალებს, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს, მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ, მოძმე მზიური საქართველოს მაღაროელებს, თვალუწვდენელ საბჭოთა სივრცეებს იქიდან, ჭაღარა კავკასიონის მთებს იქიდან, გიძღვნით ჩვენს მგზნებარე მაღაროულ სალამს.

ფოლადივით მტკიცე და ურყევია საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. ხალხთა ეს სტალინური მეგობრობა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძალისა და ძლიერების დაუშრეტელი წყაროა, ...

... ველის და უკრაინის კოლ... ბებმა აიღეს ახალი ვალდე... რომლებიც მიმართულია ... რნეო წყობილების შემდ... მტკიცებისაკენ, სტალინურ... ლისათვის შემდგომი ბრძო...

ჩვენ, ვოროშილოვგრადის ... სერგოვსკის რაიონის კირო... ლობის № 22-6 შახტის ... შახტის მაღაროელები ... თქვენ სოციალისტურ შეჯ... კიროვის სახელობის ჩვე... მა № 22-6 ამ ბოლო დრო...

... საქართველოს კოლმეურნეობებს შორის.

ამასწინათ თქვენ, ამხანაგებო, თქვენს მზიურ საქართველოში მიიღეთ ჩვენი დელეგაცია უკრაინიდან. საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „შრომასა" და უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შორის, რომლებმაც პირველებმა აიფრიალეს შესანიშნავი შეჯიბრების დროშა, დადებულია ახალი სოციალისტური ხელშეკრულება. საქართ-...

... გათვალისწინებული 174 ტონის ნაცვლად.

№ 77 შახტის მუშები წლის განმავლობაში ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმას. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი მეთაურები სათავეში ჩაუდგნენ სტახანოვურ მოძრაობას, რომ ჩვენს შახტებზე სწორად არის განაწილებული მუშა-ძალა, რომ ჩვენ დავნერგეთ მუშაობის მოწინავე მეთოდები ციკლურობის გრაფიკის მიხედვით. საუცხოოდ მუშაობს ჩვენში № 4 უბნის ლავა (უბნის უფროსი ამხ. ...

... რაინელი და ქართველი ხალხების სტალინური მეგობრობა! ვიმუშაოთ დაუღალავად ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ჩვენი ძვირფასი, დიდი და ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი!

**განხილულია და დამტკიცებული ვოროშილოვგრადის ოლქის სერგოვსკის რაიონის კიროვის სახელობის № 22-6 და № 77 შახტების მუშებისა და ინჟინერ - ტექნიკოსი მუშაკების ცვლების კრებებზე.**



ხასანის ბრძოლების მონაწილენი, უმცროსი მეთაურები ნ. პესკუნოვი, პ. ჟურავლიოვი და კ. პრიამონოსოვი სოხუმში.

## წარმატებებით ხვდებიან სტალინური კონსტიტუციის დღეს

### ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანამ შეასრულა წლიური გეგმა

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ-სარემონტო ქარხანას 1938 წლის გეგმით დავალებული ჰქონდა 340 ორთქლმავლისა და 25 ელმავლის შეკეთება.

ეს დავალება იმ ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ხალხთა დიდი ბელადის სახელს ატარებს, სასახელოდ შეასრულა ვადამდე და გადაჭარბებით.

1 დეკემბრისათვის ქარხანამ რემონტიდან გამოუშვა 343 ორთქლმავალი (გეგმის 100,9 პროცენტი) და 25 ელმავალი (გეგმის 100 პროცენტი).

C

ამასთან ქარხნის საქვაბე და ამწყობი საამქროების კოლექტივებმა სტალინური კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით იკისრეს ვალდებულება 4 დეკემბრისათვის გამოუშვან რემონტიდან კიდევ 3 ორთქლმავალი.

### წარმატებით ასრულებენ ვალდებულებას

... მოო დავალება.

ზ. კიკნაძე

### წლიური გეგმის 116.3 პროცენტი

(ბათუმი. საქ. კორესპონდენტისაგან)

ბათუმის ნავსადგურის გემშემკეთებელი მექანიკური სახელოსნო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს.

სტახანოვური მუშაობის დანერგვით, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებით და სოცშეჯიბრების გაშლით სახელოსნოს კოლექტივმა ვადამდე უზრუნველჰყო გემების „იალტის", „დიმიტროვის", „ჩირიაინის" და სხვ. რემონტიდან გამოშვება.

ოქტომბრის საწარმოო გეგმა სახელოსნომ 130,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო წლიური გეგმა პირველი ნოემბრისათვის 116,3 პროცენტით იქნა შესრულებული.

თუჯის ჩამომსხმელები ი. დვალიშვილი, თ. ხაჭაპურიძე, ხარატი ვ. ღლონტი, ზეინკალი სტ. ბაგრამოვი და ან. ჩერნიშევი, მჭედელი ე. ტიმჩენკო და სხვები სახელოსნოს საუკეთესო სტახანოველები არიან.

### № 2 ფეხსაცმლის ქარხნის კოლექტივმა შეასრულა წლიური გეგმა

თბილისის შაუმიანის სახელობის № 2 ტყავის ქარხნის კოლექტივმა ...

... და ამის შედეგად 21 ნოემბრის ნაშუადღევის 2 საათისათვის შეასრულა წლიური გეგმა. ...

... ხოვან ტყავს.

ტრ. თევდორაძე

## ტყიბულის მაღაროელები ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის მაღაროელთა მომართვის პასუხად

**ტყიბული**, 2 დეკემბერი (საქდესი). ...

... ზე სიტყვით გამოვიდნენ ამხ. ლ. ცქიფურიშვილი, ქ. ბეშკენაძე, ა. ბრეგაძე, გ. გორგიძე, ა. კუბლაშვილი, ბ. კვაჭაძე და სხვები, რომელნიც უდიდესი ენტუზიაზმით მიესალმნენ დონბასის მაღაროელთა ინიციატივას. ისინი ლაპარაკობდნენ სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე, რომლებიც შეკავში-...

... დეპუტატი ამხ. დ. ჩიკვაიძე, საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ქასრაშვილი, ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი ამხ. გ. გორგიძე, მაღაროების მეთაურები და ტყიბულის მაღაროების მოწინავე სტახანოველები.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა.

### ქუთაისის აბრეშუმკომბინატისათვის ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

დაკმაყოფილდეს ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შუამდგომლობა ქუთაისის აბრეშუმკომბინატისათვის ამხანაგ ვალერიან მინას-ძე ბაქრაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1938 წ. 16 ნოემბერი.

## ესპანეთის დელეგაციის დეპეშა პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს

ესპანეთის რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელიც სსრ კავშირში იყო ჩამოსული დიდი ოქტომბრის სო...

... პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს უკანასკნელი გადაწყვეტილება ესპანეთის რესპუბლიკისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ესპანეთის ხალხის სახელით მადლობას ვწირავთ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და საბჭოთა ხალხს". (საკდესი).

## თვითმფრინავის არქტიკული რეისი პოლარული ღამის პირობებში

**ტიქსის ბუხტი**, 1 დეკემბერი (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). გუშინ ტიქსში მოვიდა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს ლენის ავიაჯგუფის სახაზო თვითმფრინავი, რომელსაც მართავს მფრინავი ამხ. გურიე-...

... მოიტანა რამდენიმე ათეული ცალი სახელმძღვანელო „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", ახალი ლიტერატურული გამოცემები, გაზეთები და ფოსტა.

პოლარული ღამის პირობებში სახაზო თვითმფრინავის ეს საზამთრო არქტიკული რეისი პირველი რეისია ავიაციის ისტორიაში.

დღეს თვითმფრინავი იაკუტსკს ბრუნდება. იგი წერილებს მიუტანს პოლარელთა ნათესავებსა და ნაცნობებს.

ამგვარად, მყარდება რეგულარული საჰაერო მიმოსვლა იაკუტსკსა და ტიქსის შორის.

## ჯამბული მოსკოვში

...

## სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საუკეთესო საავიაციო სკოლა

შეჯამებულია სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საავიაციო სკოლების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. პირველობა მოიპოვა მეორე საავიაციო სკოლამ (სკოლის უფროსი—საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვ. ს. გორანოვი).

ამ სკოლას საუკეთესო მაჩვენებლები აქვს საფრენოსნო, თეორიული სწავლების და პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში. სასწავლო საფრენოსნო გეგმა შესრულებულია სავსებით და სრულიად უავარიოდ. მიმდინარე წელს სკოლამ გამოუშვა პილოტების ახალი რაზმი. სკოლადამთავრებულ მფრინავთა ნახევარი რაოდენობა ფრენოსნობის სასწავლო კურსში „ფრიადით" შეფასდა, ხოლო მეორე ნახევარი — „კარგით".

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსმა საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ვ. ს. მოლოკოვმა მე-2 საავიაციო სკოლას გამოუგზავნა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის გარდამავალი წითელი დროშა და ამხ. ორეშენკოს და ზენკოვსკის ესკადრილიებს, დააჯილდოვა 30 ათასი მანეთით თვითეული.

## ქალაქ ბათუმის საბჭოთა ინტელიგენციის მიტინგი

**ბათუმი**, (საქდესი). ქალაქ ბათუმის საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომე-...

მთელი მოწინავე კაცობრიობა მოცულია ფაშისტი ჯალათების ბარბაროსული მოქმედებისადმი სიძულვილისა ...

# სატყეო მრეწველობის მუშაკთა კონფერენცია

29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე თბილისში, მუშათა სასახლის დარბაზში, მიმდინარეობდა საქართველოს სატყეო მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციის პირველ სხდომაზე, საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, მოხსენებით გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი — პროფესორი **ვ. გულისაშვილი**.

პროფესორი ვ. გულისაშვილი მოხსენებაში, — „სატყეო საკულტურო სამუშაოების გაუმჯობესება, მათი მექანიზაცია და სატყეო სანერგეების ნაყოფიერების გაზრდა, სატყეო კულტურების დაღუპვის აცილების ღონისძიებანი" დაწვრილებით შეჩერდა საქართველოს რესპუბლიკაში ტყის კულტურების განაწილების საკითხზე. აღნიშნა, რომ ზოგი რაიონი (ახალქალაქი, ყაზბეგი და სხვ.) დაჩქარებით უნდა გატყევდეს, რადგან აქ არის ამისათვის ხელსაყრელი პირობები.

— საქართველოში სატყეო კულტურის 33 ჯიში გვხვდება, მათ ცალცალკე თავისი აგროკულტურა სჭირდებათ, ამიტომ აუცილებელია შევამციროთ ჯიშების რაოდენობა, ხელი ჩავჭიდოთ წამყვან კულტურებს (ევკალიპტი, კაკალი, კოპიტი, კორპის მუხა, წაბლი, ფიჭვი და სხვ.).

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა კულტურების ხშირად თესვის უპირატესობაზე, წიწვიანი და ფოთლოვანი კულტურების შერევის აუცილებლობაზე, სატყეო [illegible]

[illegible] ხერხი, საფანერო და სხვა ხისდამმუშავებელ მრეწველობაში".

პროფ. ავალიანის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ: **ბელიაევი** (ბათუმის ხეტყის ქარხანა), **კარაპეტიანი** (თბილისის ფანერის ქარხანა), **ვარაზაშვილი** (საქ. სატყეო მრეწველობის მთავარსამმართველოს უფროსი) და ამხ. **ჩიბურდანიძე** (საქ. სსრ ტყის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე).

მოკამათენი აღნიშნავენ, რომ ხისდამმუშავებელ ქარხნებს (ბათუმი და სხვ.) არა აქვთ საკმაო და კარგი ხარისხის ნედლეული, ზოგჯერ ადგილი აქვს დაუდევრობას—ჯალაბეთის სატყეო კომბინატმა 2500 კუბური მეტრი წიფლის მასალა გააფუჭა, ასევე მოხდა თელავისა და ხაშურის სატყეო მეურნეობებში. აჭარის სატყეო მეურნეობამ მოუვლელობით ევკალიპტის ნარგავების 70 პროცენტი დააზიანა. საჩხერის სატყეო მეურნეობამ აკაცია მშრალ ნიადაგზე გააშენა, რაც ნაკლებ რენტაბელურია, ხაშურის, თელავის, ჯალაბეთის და სხვა სატყეო მეურნეობებში მწვავედ სდგას ხეტყის დამზადება - გამოზიდვის საკითხი. იქ საკმაო რაოდენობით არ ჰყავთ კვალიფიციური მუშები. სატყეო მრეწველობაში ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან თვითღირებულების შემცირებისათვის, მრეწველობის რენტაბელობის გაზრდისათვის და სხვა საკითხების მოსაგვარებლად. კონფერენციის დელეგატები თავიანთ გამოსვლებში ურთიერთს უზიარებდნენ აგრეთვე საწარმოო გამოცდილებას. [illegible]

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

### „უმცაუბეობანი ორჯონიკიძის რაიონის კოოპერაციებში"

ხარაგოული, (საკ. კორ.). [illegible]



[illegible]

## დაიწყო მოსახლეობის ნაღრევი აღწერა

### ხულო

[illegible]

### ყაზბეგი

[illegible]

## მოსახლეობის აღწერა ფსხუში

(სოხუმი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

[illegible] ...იტაციო მუშაობა არ შეწყვე[illegible] აღწერის მთელ პერიოდში. [illegible]ციის საქმეში განსაკუთრებით [illegible]ლავად მუშაობდნენ ამხ. ა. [illegible]ევი, ნ. მინინა, კოზლოვსკი, [illegible]

[illegible] საწინააღმდეგოდ დაირაზმათ ისინი. მაგრამ ხალხმა არ მოუსმინა მათ; რუსები, აბაზინელები, ჩერქეზები, ქართველები შეხმატკბილებულად ცხოვრობენ. სოფელს აქვს დაწყები- [illegible] დასარიცხავად მომზადებულია 5 ამხანაგი — სოფლის აქტიური აგიტატორები — ა. ლიტვინენკო, ა. იაცენკო, მ. ტურკოვი, ნ. მინინა და ტ. მინინა.

# გულრიფშის საბჭოთა მეურნეობაში ყველაფერი რიგზე არ არის

(სოხუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

გულრიფშის (სოხუმის რაიონი) ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად მიმდინარეობს მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის მასობრივი კრეფა. საბჭოთა მეურნეობამ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 2.300.000 ცალი ციტრუსი.

მეურნეობის პლანტაციები ძირითადად ახალი გაშენებულია. ეს ავალებდა მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებს კარგად მოეწყოთ მათი მოვლა. მაგრამ აქ მოუგვარებელია ეს საქმე, რამაც თავისი დაღი დაასვა წლევანდელ მოსავალს.

საბჭოთა მეურნეობაში სწორად არ არის გამოყენებული მუშა-ხელი. ნაკვეთების მიმაგრება ცალკეულ მუშებზე ვერ არის მოწესრიგებული. ნაკვეთები დიდია და მუშები ვერ ასწრებენ მათ მოვლას. მაგალითად, პირველ რაიონში (აგრონომი — გ. ნერსესიანი) მუშ კოკოსიანზე მიმაგრებულია ნაკვეთი 1.000 ძირი ციტრუსით. კოკოსიანი ვერ ასწრებს მათ მოვლას. ასეთივე მდგომარეობაშია ოსტრებეჟევას (მეორე რაიონი, აგრონომი — გ. ქიტიაშვილი), გუბარის (მესამე რაიონი, აგრონომი—ნახაბეიშვილი) ნაკვეთები. თვითეული ნაკვეთის მიხედვით შედგენილი არ არის მოსავლის აღების გეგმა. მუშამ არ იცის რამდენი ცალი ციტრუსი უნდა მოიკრიფოს მასზე მიმაგრებულ ნაკვეთზე. საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ საკითხს და უკეთ დააყენონ მუშებზე ნაკვეთების მიმაგრების საკითხი.

ზოგიერთი მუშა თავის ნაკვეთს მოწყვეტილია 3 კილომეტრით. ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ გაუწევენ სისტემატურ მეთვალყურეობას ციტრუსს, რომელსაც სერიოზული მოვლა-პატრონობა ესაჭიროება. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მეურნეობის დირექციამ.

ნაკლები ყურადღება ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ბინათმშენებლობის საქმე აქ დღემდე ჩაშლილი იყო. მეურნეობის ხელმძღვანელებს ჯერ ისიც ვერ მოუწყვიათ, რომ სასადილოში მიმტანები იყოლიონ. მუშებს თვით უხდებათ საკუთარი თავის მომსახურება.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს შეეძლო წელს გაცილებით მეტი მოსავლის მოცემა, — ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი რომ დროულად აღმოეფხვრათ.

მეურნეობას ჰყავს სტახანოველები, მაგრამ მხოლოდ კრეფის სტახანოველები. პ. პონომარიოვა 3.000 ცალის ნაცვლად, საშუალოდ დღეში 8.500 ცალ მანდარინს ჰკრეფს, ჩერნომაშინცევა — 7.000 ცალს, მაგრამ სად არიან მაღალი მოსავლის ოსტატები, სტახანოველები? ისინი მეურნეობას არა ჰყავს, რადგან ამ მხრივ მუშებს არ უწყობენ ხელს, არ ნერგავენ მათში სტახანოვური მუშაობის მეთოდებს. იმის აღრიცხვაც კი არ სწარმოებს, თუ როგორი მოსავალი მიიღეს ამა თუ იმ მუშაზე მიმაგრებული ნაკვეთიდან.

ზამთარი დადგა. დადგა პასუხსაგები პერიოდი ციტრუსების გამოზამთრების საქმეში.

საბჭოთა მეურნეობაში შესაფუთავია 15.157 ძირი ხე. შეიფუთება ლიმონის ყველა ხე, ფორთოხლის 5 წლის ნარგავები და მანდარინის 1937 წელს დარგული ხეები. გარდა ამისა, სათბურებში გადატანილ უნდა იქნას 202.000 ციტრუსის ნერგი. ნერგების გადატანა უკვე დაიწყო. მეურნეობას მზად აქვს მთელი შესაფუთი მასალა. მაგრამ ზოგიერთ მუშას დასჭირდება დახმარება მასზე მიმაგრებული ნაკვეთის სიდიდის გამო, რაც ახლავე უნდა გაითვალისწინონ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

**გ. მერკვილაძე**

# თათბირი მემინდვრეობის საკითხებზე

ამ დღეებში საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობაში ჩატარდა თათბირი აღმოსავლეთ საქართველოში მემინდვრეობის აგროტექნიკის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

თათბირს ესწრებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების რაიმიწგანებისა და მტს-ების უფროსი აგრონომები, უბნის აგრონომები, კოლმეურნეობათა სტახანოველი ბრიგადირები, საქ. ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორები და მეცნიერ მუშაკები და მიწსახკომის აპარატის სპეციალისტები.

თათბირის პირველ საკითხზე აღმოსავლეთ საქართველოს მემინდვრეობის აგროტექნიკის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ—მოხსენებით გამოვიდა საქმიწსახკომის მარცვლეულ კულტურათა სამმართველოს უფროსი აგრონომი ვ. თოფჩიშვილი, ხოლო მეორე საკითხის ირგვლივ თემაზე: მაღალი აგროტექნიკა ბალახმინდვრიან სწორ თესლბრუნვაში — საქ. მიწსახკომის თესლბრუნვის ჯგუფის ხელმძღვანელი, აგრონომი ნ. ავალიშვილი.

ამხ. ვ. თოფჩიშვილმა ილაპარაკა მარცვლეულ კულტურათა ფართობების ზრდაზე, ნიადაგის სწორად დამუშავებაზე, ნათესების მოვლაზე, ნიადაგის დროულად და სწორად განოყიერებაზე, ხვნა-თესვის და მოსავლის აღების წესებსა და ვადებზე.

კოლმეურნეობებში მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის საუკეთესო აგროტექნიკური პირობების შექმნის მიზნით, — აცხადებს ამხ. ავალიშვილი, — შემოღებულ უნდა იქნას სწორი ბალახმინდვრიანი თესლბრუნვა. ნიადაგის მძრალად დამუშავების წესი, — განაგრძობს იგი, — ნაწვერალის აოშვა, ღრმად ხვნა საუკეთესო აგროტექნიკური ღონისძიებებია, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ბალახმინდვრიან თესლბრუნვაში ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენასა და უხვი მოსავლის მიღებას.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. მირიანაშვილმა, ალ. ჯაფარიძემ, გ. ბილანიშვილმა (მიწსახკომი), აბრამიშვილმა (სიღნაღი), შავგულიძემ (კასპი), ციცქიშვილმა (ხაშური), გაჩეჩილაძემ (გურჯაანი), ფირანაშვილმა (ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „დურუჯის" თავმჯდომარე) და სხვ.

დასასრულ, თათბირზე გამოიყო კომისია, რომელმაც მოსმენილ მოხსენებათა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის გათვალისწინებით შეიმუშავა ღონისძიება აღმოსავლეთ საქართველოში მემინდვრეობის აგროტექნიკის გასაუმჯობესებლად. ამასთან ერთად თათბირმა ერთხმად მიიღო მიმართვა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მეცნიერ მუშაკების, სპეციალისტების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, სტახანოველების, მტს-თა დირექტორებისა და ტრაქტორისტებისადმი — სოციალისტურ მინდვრებზე მაღალი აგროტექნიკის ურყევად დანერგვისათვის.

კონსულტაცია

# ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესახებ*)

თანდათანობით გადასვლა კომუნიზმის დაბალი ფაზიდან უმაღლეს ფაზაზე, სოციალიზმის თანდათანობით გადაზრდა კომუნიზმში განუზომლად უფრო ადვილი იქნება, ვიდრე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა.

გადავხედოთ განვლილ ისტორიულ გზას, გარდამავალი პერიოდის პირველ წლებს. რით დავიწყეთ ჩვენ სახალხო მეურნეობის აღდგენა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ქვეყანამ გაიმარჯვა ინგლის-საფრანგეთ - იაპონია - პოლონეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ - მემამულურ - თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის შეერთებულ ძალებზე?

ქვეყანა გაჩანაგებული იყო ოთხი წლის იმპერიალისტური ომით და ინტერვენციის წინააღმდეგ სამი წლის ომით. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1920 წელს ომამდელი პროდუქციის მხოლოდ დაახლოვებით **ნახევარს** შეადგენდა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო მრეწველობაში, რომელიც ნგრევის მდგომარეობაში იყო. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1920 წელს თითქმის **შვიდჯერ** ნაკლები იყო ომამდელზე. ხოლო მეფის რუსეთის მრეწველობის ომამდელი დონე ხომ უკიდურესად ჩამორჩენილი ქვეყნის დონე იყო. ლენინი 1913 წელს სწერდა, რომ ომამდელი რუსეთი იყო „წარმოუდგენლად, უმაგალითოდ ჩამორჩენილი ქვეყანა, ღატაკი და ნახევრადველური, წარმოების თანამედროვე იარაღებით ოთხჯერ უფრო ცუდად მოწყობილი, ვიდრე ინგლისი, ხუთჯერ უფრო ცუდად, ვიდრე გერმანია, ათჯერ უფრო ცუდად, ვიდრე ამერიკა"[1]).

მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდი უპირატესობათა მეოხებით შესძლო საბჭოთა ქვეყანამ უაღრესად მოკლე ვადებში (1926 წლისათვის) აღედგინა სახალხო მეურნეობა, აეყვანა იგი ომამდელ დონემდე. მაგრამ ომამდელი დონე ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებდა. სოციალისტური საზოგადოება რომ აგვეშენებინა, საჭირო იყო გადაგვეჭრა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ჭეშმარიტად გიგანტური ამოცანა.

„ჩვენ განვიცდიდით უმწვავეს შიმშილს ტექნიკის დარგში. „არ გვქონდა ის ელემენტარული ტექნიკური ბაზა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ქვეყნის ინდუსტრიული გარდაქმნა. მოგვეპოვებოდა მხოლოდ ცალკეული წინაპირობანი ასეთი ბაზის შექმნისათვის. საჭირო იყო შეგვექმნა პირველხარისხოვანი ინდუსტრია. საჭირო იყო ეს ინდუსტრია წარგვემართა იქითკენ, რომ მას ჰქონოდა უნარი ტექნიკურად გარდაექმნა არა მარტო მრეწველობა, არამედ სოფლის მეურნეობაც, ჩვენი სარკინიგზო ტრანსპორტიც. ამისათვის კი საჭირო იყო გაგველო მსხვერპლი და ყველაფერში გაგვეტარებინა უსასტიკესი მომჭირნეობა. უნდა გაგვეწია მომჭირნეობა კვებაზედაც, სკოლებზედაც, მანუფაქტურაზედაც, რათა დაგვეგროვებინა საჭირო სახსრები ინდუსტრიის შესაქმნელად"[2]).

სოფლის მეურნეობაში ჩვენ საქმე გვქონდა წვრილმესაკუთრეულ, დაქუცმაცებულ, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანესთან, მრეწველობისაგან სოფლის მეურნეობის ჩამორჩენასთან, რაც თვალსაჩინოდ გამოიხატა 1927-1928 წლებისათვის.

„თუმცა მთლიანად სოფლის მეურნეობამ კიდეც გადააჭარბა ომამდელ დონეს, მაგრამ მისი მთავარი დარგის — მარცვლეულის მეურნეობის საერთო პროდუქცია შეადგენდა ომამდელი დონის მხოლოდ 91 პროცენტს, ხოლო მარცვლეული პროდუქციის სასაქონლო ნაწილი, რომელიც სოფლიდან გასასყიდად გაჰქონდათ ქალაქების მოსამარაგებლად, ძლივს აღწევდა ომამდელი დონის 37 პროცენტს; ამასთან ყველა მონაცემი მოწმობდა იმას, რომ არის მარცვლეულის სასაქონლო პროდუქციის შემდგომი დაცემის საშიშროება...

ეჭვი არ იყო, რომ მარცვლეულის მეურნეობის ასეთი მდგომარეობის დროს სსრ კავშირის არმია და ქალაქები უნდა აღმოჩენილიყვნენ ქრონიკული შიმშილობის წინაშე"[3]).

ეკონომიური აუცილებლობა გადაჭრით მოითხოვდა, რომ საბჭოთა ქვეყანა გადასულიყო კოლექტივიზაციაზე, მაღალნაყოფიერი, მსხვილი, განსაზოგადოებული სოფლის მეურნეობის შექმნაზე უახლესი სამანქანო ტექნიკის — ტრაქტორების, კომბაინების ბაზაზე. და ეს ამოცანა დაყენებულ და წარმატებით გადაჭრილ იქნა ლენინ-სტალინის პარტიის მიერ.

მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მაღლონის უდიდესი დაძაბვის გზით ჩვენ შედარებით მოკლე ვადაში გარდავქმენით ჩვენი ქვეყანა. ჩვენ შევქმენით მსხვილი მოწინავე ინდუსტრია, გადავაქციეთ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი, თავდაცვის მხრივ უმწეო ქვეყნიდან მოწინავე, ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, თავდაცვის მხრივ მძლავრ სახელმწიფოდ. ჩვენ გადავჭერით ყველაზე ძნელი ამოცანა ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ, პროლეტარული რევოლუციის ისტორიული ამოცანა — წვრილგლეხური სოფლის მეურნეობის გადაყვანა სოციალიზმის რელსებზე და შევქმენით მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედება, თანამედროვე, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული. და ყოველივე ამის გადაჭრა მოგვიხდა კულაკობის, მტრული ელემენტების, იაპონია-გერმანიის ფაშიზმის დაქირავებულ ქოფაკებად გადაქცეული ტროცკისტებისა და კაპიტალიზმის მემარჯვენე რესტავრატორების წინააღმდეგ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

ის გარემოება, რომ განადგურებული და ლიკვიდირებული არიან სოციალიზმისადმი მტრული კლასები ჩვენი ქვეყნის შიგნით (თუმცა გრძელდება და კვლავ გაგრძელდება ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების ნაშთებთან, რომლებსაც ასაზრდოებს და ხელს უწყობს კაპიტალისტური გარემოცვა, გაგრძელდება ბრძოლა კაპიტალისტური გარემოცვის გამცემლურ აგენტურასთან), სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ამოცანას უფრო ადვილს ხდის, ვიდრე სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინათ გადაჭრილი ამოცანები იყო.

სოციალისტური საზოგადოების წინაშე, რომელიც უკვე შევიდა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში, წამოიჭრება საწარმოო ძალთა შემდგომი სწრაფი განვითარების, ადამიანთა შეგნების შემდგომი გარდაქმნის უაღრესად გრანდიოზული ამოცანები.

იმ შემოქმედებით სამუშაოთა მასშტაბები, რომლებიც უახლოესი ხუთწლედების მანძილზე მოგველის, ჭეშმარიტად დიადია და თავისი მოცულობით აღემატება ყოველივეს, რაც კი გაკეთებულა ჩვენს ქვეყანაში. საკმარისია მხოლოდ შევადაროთ ერთმანეთს, მაგალითად, სამუშაოთა მოცულობით გიგანტური კაშხალების მშენებლობა ვოლგაზე და დნეპრჰესის მშენებლობა (დნეპრის ჰიდროელსადგურის სიმძლავრე შეადგენს 558 ათას კილოვატს, ხოლო კუიბიშევის პროექტირებული ჰიდროკვანძის სიმძლავრე 3 მილიონი 400 ათასი კილოვატი იქნება). ანდა ავიღოთ, მაგალითად, პრობლემა წარმოების ავტომატიზაციისა ელექტროფიკაციის შემდგომი ზრდის ბაზაზე. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა—არა მარტო დავეწიოთ, არამედ ბევრადაც გავუსწროთ ტექნიკის დარგში ამერიკას—იმ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით მრეწველობის მთელ რიგ დარგებში.

მაგრამ ჩვენ ახლა უკვე გვაქვს მძლავრი ტექნიკური ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის. საბჭოთა მანქანათმშენებლობას უკვე ამჟამად მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ჩვენ უკვე ახლა აღარ გვესაჭიროება იმპორტი ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის. სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ყველა შესაძლებლობა აქვს თავისი პროდუქციის განუწყვეტელი გადიდებისათვის.

თუმცა მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ჩვენ ამჟამად ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით ამერიკას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ კოლოსალური უპირატესობა სოციალისტური, საბჭოთა ეკონომიკისა, რომელმაც კაპიტალისტური ეკონომიკისაგან **განსხვავებით** არ იცის კრიზისები და რომელიც მწყობრად, შეუფერხებლივ ვითარდება და მიდის წინ. ამავე დროს კი, ამერიკაში, სადაც კაპიტალისტური მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე ჯერ კიდევ ბევრად აღემატება ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის საწარმოო სიმძლავრეს, 1937 წლის მეორე ნახევარი და 1938 წელი აღინიშნენ ახალი ეკონომიური კრიზისის განვითარებით. უკანასკნელი წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის ფიზიკური მოცულობა ამერიკის შეერთებულ შტატებში **ერთი მესამედით დაეცა**.

საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ტექნიკის დაუფლება, სტახანოვური მოძრაობის შემდგომი ზრდა ქალაქად და სოფლად და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების სისტემატური ამაღლება — ყოველივე ეს სწრაფად გაადიდებს საზოგადოებრივ სიმდიდრეს, მოხმარების საგნების ფონდებს ჩვენს ქვეყანაში. ეს კი თავის მხრით შექმნის **პრაქტიკულ** შესაძლებლობებს და აუცილებელ პირობებს მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე, განაწილების კომუნისტური პრინციპის განხორციელებაზე **თანდათანობით** გადასვლისათვის.

თეორიულად უკვე ამჟამად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ განაწილების კომუნისტურ პრინციპზე თანდათანობით გადასვლა გამოხატულებას ჰპოვებს, მაგალითად, იმაში, რომ თავდაპირველად შემოღებული იქნება მოთხოვნილების მიხედვით უფასოდ განაწილება პირველი საჭიროების საგნებისა (პური, ხორცი). შემდეგ, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდისდაკვალად, თანდათანობით შემოღებული იქნება სხვა პროდუქტებისა და საგნების უფასოდ განაწილებაც მოთხოვნილების მიხედვით.

სოციალისტური საზოგადოებისათვის, რომელიც თანდათანობით გადაიზრდება კომუნისტურ საზოგადოებაში, დამახასიათებელი იქნება მშრომელთა მოხმარების განუწყვეტელი ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე. სულ უფროდაუფრო განვითარდება სოციალისტური, საბჭოთა საზოგადოების მოქალაქეთა კულტურული საჭიროებანი და მოთხოვნილებანი.

ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების როლსა და მნიშვნელობას სახელმწიფო გაითვალისწინებს სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების, მისი კომუნისტურ საზოგადოებაში გადაზრდის თვალსაზრისით. უკვე ამჟამად ჩვენ გვაქვს არა მარტო უფლება საყოველთაო განათლებისა, არამედ ამ უფლების გარანტიაც საყოველთაო და სავალდებულო დაწყებითი განათლების სახით, უფასო განათლების სახით — უმაღლესი განათლების ჩათვლით—და სხვ. უკვე ამჟამად პროლეტარულ სახელმწიფოს „მუშაობის მიხედვით განაწილების" არათანასწორ უფლებაში შეაქვს ფრიად არსებითი შესწორებანი, როგორიცაა: უფასო მკურნალობა, სანატორიუმები, პენსიები, დახმარებათა სისტემა, მთელი რიგი შეღავათები მრავალშვილიანი დედებისათვის 1936 წლის 27 ივნისის კანონის თანახმად. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ არის კომუნისტური პრინციპი, რამდენადაც აქ არსებობენ განსაზღვრული ნორმები. მაგრამ ეს უკვე არსებითი შესწორებაა არათანასწორი უფლებისა.

განაწილების მატერიალურ-ტექნიკური აპარატი კომუნისტურ საზოგადოებაში იქნებიან საბჭოთა ვაჭრობის ორგანოები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლებიც ამჟამად არსებობენ და სულ უფროდაუფრო სრულყოფილი ხდებიან. საბჭოთა ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარების მეშვეობით, მის მიერ მთელი ხალხის კულტურული მომსახურების მეშვეობით თანდათანობით მოხდება გადასვლა განაწილების კომუნისტურ პრინციპზე—პროდუქტების პირდაპირ გაცვლა-გამოცვლაზე.

ამხანაგი სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე ამბობდა, რომ პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იდეალურად დაყენებული საბჭოთა ვაჭრობის შედეგად.

საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ, რომ კომუნისტური საზოგადოების ადამიანები არ იმგვანებიან კაპიტალისტური სამყაროს ობივატელს, რომელსაც შეუძლია ტყუილუბრალოდ გააფუჭოს საზოგადოებრივი სიმდიდრის საწყობები და მოითხოვოს შეუძლებელი, რომელიც მიისწრაფვის რაც შეიძლება მეტი „წაჰგლიჯოს" თავისთვის, არ ზრუნავს რა საზოგადოების სხვა წევრებზე.

„ბურჟუაზიული თვალსაზრისით,— სწერდა ლენინი 1917 წელს, — ადვილია გამოაცხადო მსგავსი საზოგადოებრივი წყობილება (ე. ი. პროდუქტების თავისუფალი განაწილება ყოველგვარი ნორმირების გარეშე, როდესაც თვითეული თავისუფლად წაიღებს „მოთხოვნილების მიხედვით".—**რედ.**) „პირწავარდნილ უტოპიად" და ილაზღანდარო იმის თაობაზე, რომ სოციალისტები თვითეულს ჰპირდებიან უფლებას—მიიღოს საზოგადოებისაგან, ცალკეული მოქალაქის შრომაზე კონტროლის სრულიად გაუწევლად, რამდენიც ჰნებავს ტრიუფელი, ავტომობილი, პიანინო და ა. შ. ასეთ ლაზღანდარობას სჯერდება დღემდეც ბურჟუაზიულ „მეცნიერთა" უმრავლესობა, რომლებიც ამით იჩენენ თავის უვი-

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტში" № 275.

[1]) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XVI, გვ. 543.

[2]) ი. სტალინი. სიტყვა წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე, გვ. 4. პარტგამომცემლობა, 1935 წ.

[3]) საკ. ყ. კ. (ბ) ისტორია, გვ. 348-349.

# პარტიული ცხოვრება

## ბათუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრება

ბათუმი, 2 დეკემბერი (საქდესი). 1 დეკემბერს შესდგა ბათუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისადმი „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით". კრებას 500 კაცი დაესწრო.

მოხსენებით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თაობაზე „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით" გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობათა აღმსრულებელი ამხ. მ. ბარამია. ამხ. ბარამიას მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ჟივიაგინი (ნავთის გამომხდელი ქარხნის პარტკომის მდივანი), გოგუა (ნავთგასაღების მთავარსამმართველოს ბაზის პარტკომის მდივანი), მახარაძე (დეპოს პარტკომის მდივანი), ბალანჩივა (სამკერვალო ფაბრიკის პარტკომის მდივანი), კალანდაძე (ხის დამმუშავებელი ქარხნის პარტკომის მდივანი), ცერცვაძე (პარტკაბინეტი), ფომენკო (მანქანათმშენებელი ქარხანა), დონაძე (პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი), კირისელ-ოლლი (სამხარეთმცოდნეო მუზეუმი), ანასტასიადი (გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" რედაქტორი), მანუკიანი (ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტკომის მდივანი), კომახიძე (ჯანსახკომი), ბაკურაძე (ფინსახკომის პარტორგი), რუხაძე (საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტი). კამათში გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად იწონებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და აღნიშნავდნენ რა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ გამომჟღავნებული დიდი ნაკლოვანებანი პროპაგანდისტულ მუშაობაში ბათუმისა და აჭარის პარტიული ორგანიზაციისათვისაც დამახასიათებელია, შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებანი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად.

ამხ. ბარამიას საბოლოო სიტყვის შემდეგ, აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით". ტაშის გრიალში, რომელიც ოვაციაში გადადის, კრებამ მიიღო მისასალმებელი დეპეშა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის დიდი **სტალინისადმი.**

## დამთავრდა მოსკოვის კომკავშირული აქტივის კრება

29 ნოემბერს დამთავრდა საქ. ალკკ მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა. კამათში გამოსული ამხანაგები ბრალს სდებდნენ საქ. ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნებს ამხ. ალექსანდროვს, ეჟოვს, ეფრემოვსა და ტიუფაევას იმაში, რომ ისინი ბრმად მისდევდნენ პოლიტიკურად გაკოტრებულ კოსარევსა და ვერშკოვს და ყოველმხრივ ახშობდნენ ქვემოდან მომდინარე ბოლშევიკურ კრიტიკასა და თვითკრიტიკას და არ სურდათ ბოლშევიკურად ელიკვიდირებინათ თავიანთი უხეში პოლიტიკური შეცდომები.

დიდი ყურადღებით მოისმინა აქტივმა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის—მიშაკოვას სიტყვა, რომელმაც ილაპარაკა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელების ანტიბოლშევიკურ საქმეთა შესახებ.

ამხ. მიშაკოვამ დამსწრეთ უამბო იმ ბრძოლის შესახებ, რომლის წარმოებაც მას მოუხდა ხალხის მტერთა და მათ მფარველთა წინააღმდეგ.

აქტივის კრებაზე გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პოპოვი.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში აქტივმა სავსებით და მთლიანად მოიწონა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებანი.

დიდი აღტყინებით მიიღო აქტივმა მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

## რაიონული პარტიული კრება წალკაში

წალკა, (საქდესი). ამ დღეებში ხრამჰესის კლუბში შესდგა რაიონული პარტიული კრება, რომელსაც 170 კომუნისტი დაესწრო. საქართველოს კ. პ. (ბ) წალკის რაიკომის მდივანმა ამხ. ხრისტიანოვმა კრებაზე გააკეთა მოხსენება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისადმი—„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

ამხ. ხრისტიანოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა. ყველა მოკამათე ერთსულოვნად იწონებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას; ისინი ლაპარაკობდნენ წალკის რაიონში პარტიული პროპაგანდის ხაზით არსებულ ნაკლოვანებებზე და აღნიშნავდნენ, რომ ამ დადგენილების რეალიზაცია უზრუნველჰყოფს ძირითად გარდატეხას პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ, და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიული პროპაგანდის დაყენების გაუმჯობესებისათვის წალკის რაიონში.

## შევაიარაღოთ პარტიული კადრები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„აუცილებელია სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობა, ამასთან ქვაკუთხედად გავხადოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების პოლიტიკური განათლებისა და ბოლშევიკური გამობრძმედის ამოცანა".

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის გადაწყვეტილებისა და დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა შესასრულებლად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს; საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კომიტეტმა ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით 1938 წლის 11 აპრილს გამოიტანა დადგენილება პარტიული კადრების გადამზადების შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულმა პარტიულმა კურსებმა მუშაობა დაიწყო 23 ივნისიდან.

პარტიულ კურსებზე 1 სექტემბრამდე გადამზადებულ იქნენ პარტიის რაიკომის პირველი და მეორე მდივნები—50 კაცი, ოლქკომის, ქალაქკომის და რაიკომის ინსტრუქტორები—86 კაცი. გარდა ამისა, 15 დღიანი კურსები გაიარეს ქ. თბილისის წარმოება-დაწესებულებათა პარტკომის მდივნებმა და პარტორგებმა 570 კაცის რაოდენობით.

პარტიულ კურსებზე 1 ოქტომბრიდან მეცადინეობა დაიწყო საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების 76 ინსტრუქტორმა, რომელთა გამოშვება დღეს მოხდება.

პარტიულ კურსებზე იკითხებოდა შემდეგი დისციპლინები: საქ. კ. პ. (ბ) ისტორია, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია, პარტიული მშენებლობა, გეოგრაფია, რუსული ენა, დაზვერვა და კონტრდაზვერვა, სსრკ კონსტიტუცია და სხვ.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის შემდეგ პარტიული კურსების დირექციამ მთავარი ყურადღება მიაქცია კურსების მსმენელთა მიერ პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლას და მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალურ ნაშრომებზე დამოუკიდებელი მუშაობის გაძლიერებას. წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში გამოყოფილი იყო 62 საათი, პარტიულ მშენებლობაში — 26, გეოგრაფიაში—20 საათი. მსმენელები უზრუნველყოფილი იყვნენ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყველა ნაშრომებით.

პარტიული კურსების მსმენელებმა დაათვალიერეს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, ავლაბრის არალეგალური რესტავრირებული სტამბა, და ქალაქ გორში სახლი, სადაც დაიბადა და თავისი ახალგაზრდობა გაატარა მსოფლიო მუშათა კლასის გენიალურმა ბელადმა დიდმა სტალინმა.

მსმენელთა უმრავლესობამ პარტიული კურსები დაამთავრა წარმატებით. წარმატებულთა შორის მოწინავენი არიან ამხ. შ. კუხალაშვილი (წულუკიძის პარტრაიკომის ინსტრუქტორი), გ. სემიკინი (ფოთის პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორი), ი. სონიძე (საგარეჯოს პარტრაიკომის ინსტრუქტორი), მ. ბურჯანაძე (ზესტაფონის პარტრაიკომის ინსტრუქტორი), ა. კალაძე და მ. კორქოლიანი (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორები) და სხვა.

ამგვარად, ორთვიანი პარტიული კურსები დაამთავრა და ამ დღეებში თავის პრაქტიკულ სამუშაოს უბრუნდება საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების 76 ინსტრუქტორი. პარტიულ კურსებზე მათ საკმაო ბოლშევიკური წრთობა და იდეური გამობრძმედა მიიღეს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ამხანაგები მიღებულ ცოდნას სათანადოდ გამოიყენებენ და ენერგიულად დაეხმარებიან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

**ალ. გოგოლაძე**

## მიღებულ ცოდნას გამოვიყენებ პრაქტიკულ მუშაობაში

უსაზღვრო იყო ჩემი აღტაცება, როცა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის ბიურომ დაადგინა ჩემი გამოგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ ორთვიან პარტიულ კურსებზე, სადაც ჩვენ შეგვიქმნეს ყოველგვარი პირობები მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის.

კურსებზე მოსვლისთანავე დავეწაფე ლენინ-სტალინის დიადი პარტიის სახელოვანი გმირული ისტორიის შესწავლას, რასაც მიადვილებდა ის გარემოება, რომ ხელთ მქონდა ისეთი ბოლშევიკური, მეცნიერული სახელმძღვანელო, როგორიცაა „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". გარდა ამისა, დიდი დაინტერესებით ვკითხულობდი ლენინ-სტალინის უკვდავ ნაშრომებს. უდიდესი ყურადღებით მოვისმინე ლექციები პარტიული მშენებლობის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, საერთაშორისო მდგომარეობის, გეოგრაფიისა და სხვა საკითხებზე. აქ მიღებული ცოდნა დიდად დამეხმარება იმ საპატიო მოვალეობის შესრულებაში, რომელიც ჩვენ მოგვანდო პარტიამ, სახელდობრ პირველადი პარტ-ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევა მუშაობაში.

პარტმუშაკთა ორთვიან კურსებზე მე მივიღე მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისთვის მუშაობის გამოცდილება. შემდგომი ჩემი საბრძოლო ამოცანაა დამოუკიდებლად, ყოველდღიურად ვიზრუნო ჩემი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისთვის, რათა ღირსეულად შევასრულო პარტიის რაიკომის ინსტრუქტორის საპატიო მოვალეობა.

**შ. კუხალაშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის ინსტრუქტორი.



თბილისი. კამოს სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ე. იუზეფოვიჩი (დგას მარჯვნივ) საქ. კ. პ. (ბ) წევრებს და კომკავშირელებს ესაუბრება საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის საკითხებზე. ფოტო თ. ფურცელაძისა

პატარა ფელეტონი

## ტელეგრაფისტები და სიტყვების ევოლუცია

პატივცემულ კლოპფერს, მორზესა და ბოდოს რომ სცოდნოდათ ჩვენი ტელეგრაფისტების ახირებული ხასიათი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ისინი არ ისურვებდნენ მათ მიერ გამოგონილი ტელეგრაფის ძვირფასი აპარატებისათვის თავიანთი სახელები ეწოდებინათ.

და მერე იცით, როგორია ან რას აკეთებს ეს აპარატები?!

კლოპფერის აპარატით, საათში ათასი სიტყვის მიღება და გადაცემა შეიძლება ისე, რომ არც ხელი დაისვარო მელნით და არც თვალები დაიღალო კითხვით. ზიხართ თქვენთვის აპარატთან ფანქრით ხელში, კლოპფერის კონტაქტები ხმაურით წარმოშობენ წერტილებს, ტირეებს. ესენი კიდევ—ასოებს, სიტყვებს, წინადადებებს და სწერთ მათ დეპეშის ბლანკზე.

ვთქვათ, გადასცეს დეპეშა: „გამოვდივარ ჩქარით დამხვდი ვაგზალზე", მაგრამ როცა სმენა ღალატობს ჩვენს კლოპფერისტებს, ზოგიერთი წერტილი და ტირე სავსებით იკარგება, ჩნდება ახალი სიტყვები და ასეთი დეპეშა: „გამოვდივარ ჩუ ჩქარი დავრჩი საგზალზე"...

მაგრამ ეს რა კლოპფერის ბრალია?!

მორზეს აპარატს მორზესავე გამოგონილი ანბანი ქაღალდის ზოლზე გადააქვს. დეპეშას მორზისტები ამ ასოების ამოკითხვით ღებულობენ. ხდება ხოლმე „ცოტა გაუგებრობა"—წერტილები ტირეთ გამოდის, ან რამდენიმე ტირე შეერთდება და სხვა სიტყვას ვღებულობთ. იგზავნება დეპეშა: „მზად არის 300 კუბური მეტრი წყავის მორი ფიჭვი და რცხილა გამოიგზავნება დღეს ვაგონით". და ამ „პატარა" მიზეზით დეპეშა ასეთ სახეს მიიღებს: „ზამთრის 300 კუბური მეტი ყვავის ქორი იჭვით და ფრთხილად გაბო იგზავნება ვაგონით"...

მაგრამ ეს რა მორზეს ბრალია!

ბოდო სწრაფმომქმედი აპარატია. ეს აპარატი ყველა ენაზე მიღებულ დეპეშას ქაღალდის ზოლზე არა მორზეს ანბანით, არამედ ნამდვილი მანქანის რუსული შრიფტით ბეჭდავს, დიაღ რუსულით. მაგალითად, ქართული სიტყვა „ღორის ჭირი" ბოდოს აპარატით დაიწერება — „გორის ჩირი", „წიგნების პალატა" შეიცვლება —„ციგნების პალატად" და ა. შ. მიმღები ბოდისტები ამ ანაბეჭდებს დეპეშის ბლანკებზე აწებებენ და დანიშნულებისამებრ ჰგზავნიან.

მაგრამ ჩვენს ბოდისტებს ამ ტექნიკური ოპერაციების დროს ხშირად იინღლიში მოსდით. ხან „შრიფტოვკის", ხან ერთი დეპეშის ტექსტის მეორე დეპეშის ბლანკზე დაწებებით, ხან კიდევ ამ ზოლების ერთიმეორეზე გადაწებებით დეპეშის აზრი სავსებით იცვლება და მახინჯდება. მაგალითად, „კომუნისტის" საკუთარმა კორესპონდენტმა ამბროლაურიდან გამოგზავნა დეპეშა: „29 ოქტომბერს მე თვითონ ჩამოვიტან", რედაქციაში მოსვლამდე დეპეშამ ასეთი ევოლუცია განიცადა: „29 ბერს მე თვითონ ჩამოვიტან"...

მაგრამ ეს რა ბოდოს ბრალია?!

მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი ფატარიძე. მისმა კარგმა მეგობარმა გერასიმე გულკეთილაძემ გიორგის შვილებს, რომლებიც მეორე რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ, უდეპეშა: „გიორგი გარდაიცვალა. გერასიმე". გზაში დეპეშის პირველი სიტყვა შეარემონტეს, მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდნენ, ხელმოწერა ტექსტს შეუერთეს და დეპეშა ასეთი სახით ჩაბარდა: „როგორ გარდაიცვალა გერასიმე". გერასიმე გარდაცვლილაო, გადასწყვიტეს და ვინაიდან გამომგზავნი არ იყო ცნობილი, დეპეშა უყურადღებოდ დასტოვეს. 9 თვის შემდეგ გამოირკვა, რომ გარდაცვლილი იყო არა გერასიმე, არამედ გიორგი, რომელიც შვილების დაუსწრებლად დაესაფლავებინათ.

იჩივლეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. არქივი გაეუქმებინათ. ტელეგრაფისტები კი თავს იმშვიდებდნენ—რა ვუყოთ, სიტყვე „გიორგი" და „როგორ" ერთმანეთს წააგავსო.

არავინ დაუსჯიათ. კლოპფერი და მორზე კი დაუმსახურებლად შეურაცჰყვეს.

სოფ. ნიაბეთში გარდაიცვალა თებრონე გოგიტაძე, ხოლო გომიანში მამას დიდიხნის უნახავი შვილი თებრონე ეწვია. პირველი სოფლიდან სამგლოვიარო დეპეშები გაიგზავნა, მეორიდან — სასიხარულო — „თებრონე მოვიდა ჩამოდი საჩქაროთ" — სწერდა მამა თავის უფროს ვაჟიშვილს საჭამიათში. კლოპფერისტები დაფიქრდნენ — თებრონე მოკვდა, აქ მოსვლა არაფერი შუაშიაო და დეპეშა ასე შეაკეთეს: „თებრონე მოკვდა ჩამოდი საჩქაროდ". როცა დამახინჯება გამოაშკარავდა ტელეგრაფისტებმა კვლავ იმით ინუგეშეს თავი რომ სიტყვები „მოვიდა" და „მოკვდა" ერთმანეთს წააგავდა.

ხიდისთავში არსენ დამფრთხალაძემ დეპეშა მიიღო — ნინო გარდაიცვალაო და როცა ჭირისუფლებით და გვირგვინებით ახალგაზრდა ნინოს სახლს ტირილით მიადგნენ, იგი ცოცხალი აღმოჩნდა. გარდაცვლილი იყო კი ნიკო. — რა ვუყოთ, ნინოს და ნიკოს შორის ხომ მსგავსებაა. ასო „ნ" მორზეს ნიშნით ერთი ტირეთი და ერთი წერტილით იწერება. ასო „კ" — ტირეთი, წერტილითა და ტირეთი. აქ, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ერთი ტირე დაკარგულა და გაუგებრობა ამან გამოიწვია, — განაცხადეს კლოპფერისტებმა.

ეს წინათ იყო, მაგრამ ამ კურიოზების ოსტატები აქა-იქ კიდევ დარჩნენ.

არ გჯერათ?!

ჩავყვეთ ქვემოთ!

გაზეთ „ლენინის დროშის" მუშაკი ხომერში კლიშეების გასაკეთებლად მახარაძიდან თბილისს მოავლინეს. მან თავის რედაქტორს გაუგზავნა დეპეშა — ელვა: „კლიშეები გავამზადე გამოვატანე ვანო ხელაძეს". ადგილზე კი მიიღეს: „კლიტეები გავამზადე გამოვატანე ვანო მელაძეს"...

აქაც ხომ მსგავსებაა! კლიშე — კლიტე, ხელაძე — მელაძე.

ჭიათურაში გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" სახელზე ბაღდათიდან ამასწინათ გაგზავნილი სასწრაფო შინაარსის დეპეშა, თბილისში „კომუნისტის" რედაქციას ჩაბარდა. და როცა იგი ტელეგრაფს დაუბრუნდა აქაურმა ბოდისტებმა განაცხადეს: — რა ვუყოთ, აქაც მსგავსებააო..

ამასწინად „კომუნისტის" რედაქციამ თავის საკუთარ კორესპონდენტისაგან სიღნაღიდან ასეთი დეპეშა მიიღო: „თბილისი „კომუნისტის" რედაქციას. წერილში ფრ კოლმეურნეებს ხელაღებით რიცხავენ შემოსავალს არასწორათ ანაწილებენ ფრ ამოიღეთ შწრტ წრტ ნანობაშვილი ნწრტ გწრტ მჭედლისშვილი იწრტ იწრტ მჭედლიშვილი ოწრტ"...

და როცა ეს დეპეშა თბილისის ტელეგრაფის მუშაკებს გასაშიფრავად(!?) წარედგინა, ისინი კვლავ შეეცადნენ მსგავსების „თეორიის" მოშველიებას, მაგრამ...

მთელს ამ დეპეშაში თბილისელმა კლოპფერისტებმა, მორზისტებმა და ბოდისტებმა მხოლოდ ერთი სიტყვა ამოხსნეს, ეს არის წრტ, რაც ტელეგრაფისტების ენით თურმე წერტილს ნიშნავს.

ჩვენც აქ ვსვამთ წერტილს თუ წრტ-ს. ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ: როდის დაესმება წერტილი ტელეგრაფისტების ამ დანაშაულებრივ უყურადღებობასა და დაუდევრობას!

**ტ. აცანელი.**

## „სსრ კავშირის ისტორია" საბჭოთა კავშირის ხალხთა 50 ენაზე

### (საუბარი პროფ. ა. ვ. შესტაკოვთან).

თბილისს ჩამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ა. ვ. შესტაკოვი, რომლის რედაქციითაც გამოვიდა შესანიშნავი წიგნი „სსრ კავშირის ისტორია" (მოკლე კურსი); პროფ. ა. ვ. შესტაკოვმა საქდესის თანამშრომელს საუბრის დროს გადასცა ამ გამოცემასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობები.

— ამჟამად, — განაცხადა პროფ. ა. ვ. შესტაკოვმა, — გამოდის წიგნის პირველი გამოცემის დამატებითი ტირაჟი მცირე შესწორებით. უკვე გამოცემულია 100 მილიონზე მეტი ცალი წიგნი.

„სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსი" თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა 50 ენაზე.

შინსახკომის კარტოგრაფიულ გადაღებათა მთავარსამმართველოს გამოცემით იბეჭდება ისტორიის რუკები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სსრ კავშირის ისტორიაში სამეცადინოდ მე-3 და მე-4 კლასის მოწაფეებთან. რუკებს დართული აქვს ნახატები, სქემები და სხვ. (საქდესი).

---

ცობასაც და კაპიტალიზმის ანგარებით გამსჭვალულ დაცვასაც.

ეს უვიცობაა, ვინაიდან იმის „დაპირება", რომ კომუნიზმის განვითარების უმაღლესი ფაზა დადგება, არცერთ სოციალისტს აზრად არ მოსვლია, ხოლო დიდ სოციალისტთა **წინასწარი განჭვრეტა,** რომ ეს ფაზა დადგება, გულისხმობს შრომის არაახლანდელ ნაყოფიერებასაც და **არაახლანდელ** ობივატელსაც, რომელსაც შეუძლია „ტყუილ-უბრალოდ", პომიალოვსკის ბურსაკებივით, გააფუჭოს საზოგადოებრივი სიმდიდრის საწყობები და მოითხოვოს შეუძლებელი". [4]).

ახლა, როდესაც ძირითადად უკვე აშენებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, მარტო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის უმაღლესი ფაზის აშენების საკითხს აქვს არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც. საქმე ეხება ჩვენი განვითარების პერსპექტივას. თუ წინათ კომუნიზმის უმაღლესი ფაზის აშენების პრობლემა ჩვენ შეგვეძლო დაგვეყენებინა მხოლოდ თეორიულად, ახლა, სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, ეს პრობლემა ჩვენს წინაშე სდგება უკვე როგორც პრაქტიკული ამოცანა.

ლენინი სწერდა:

„და წარმოების საშუალებების ფლობის **მიმართ** საზოგადოების ყველა წევრთა თანასწორობის განხორციელებისთანავე, ე.-ი. შრომის თანასწორობის, ხელფასის თანასწორობის განხორციელებისთანავე, კაცობრიობის წინაშე გარდუვალად დადგება საკითხი იმის შესახებ, რომ წავიდეს კიდევ უფრო წინ, ფორმალური თანასწორობიდან ფაქტიური თანასწორობისაკენ, ე.-ი. ამ წესის განხორციელებისაკენ: „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით". [5]).

ლენინი დასცინოდა ცრუ ბურჟუაზიულ წარმოდგენას, „თითქოს სოციალიზმი არის რაღაც მკვდარი, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, **მაშინ** როდესაც სინამდვილეში **მხოლოდ** სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი, მოსახლეობის **უმრავლესობის,** ხოლო შემდეგ მთელი მოსახლეობის მონაწილეობით, არსებული წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში". [6]).

ლენინის ამ გენიალურ წინასწარგანჭვრეტას ყველაზე მკაფიოდ ადასტურებს სტახანოვური მოძრაობა, რომელიც მოწოდებულია, როგორც აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა, გადამწყვეტი როლი ითამაშოს კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლისათვის წინაპირობათა შექმნაში.

ასეთია ზოგიერთი ძირითადი მომენტები, რომლებიც, როგორც უკვე ახლა შეიძლება ვიგულისხმოთ და წინასწარ განვჭვრიტოთ, დამახასიათებელი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე კონკრეტული, **თანდათანობითი** გადასვლისათვის.

საჭიროა ერთხელ კიდევ მივიღოთ მხედველობაში, რომ სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის არ იქნება ისეთი მკვეთრი ზღვარი, როგორც კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. სოციალიზმისა და კომუნიზმის ეკონომიური საფუძველი ერთია — წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის—ეს არის განაწილების სხვადასხვა პრინციპები („შრომის მიხედვით" და „მოხმარების მიხედვით"), რომლებიც დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიურ მომწიფებაზე.

კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა გულისხმობს კლასობრივ განსხვავებათა საბოლოო ლიკვიდაციას, გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების საბოლოო მოსპობას, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების საბოლოო ლიკვიდაციას, ყველა ადამიანთა გადაქცევას კომუნისტური მეურნეობის მშრომელებად.

O

გავარჩიეთ რა საკითხი იმის შესახებ, რომ სოციალისტური საზოგადოება გარდუვალად უნდა გადაიზარდოს თანდათანობით კომუნიზმში, დავუბრუნდეთ იმ საკითხს, რომელიც დასმული იყო ამხ. ვ. ზაიჩენკოს წერილში: შესაძლებელია თუ არა სრული კომუნისტური საზოგადოების არსებობა ქვეყანაში, როდესაც არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა? როგორ მოეწყობა კომუნისტური საზოგადოების დაცვა კაპიტალისტური გარემოცვისაგან? თუ კომუნისტური საზოგადოება იარსებებს კაპიტალისტურ გარემოცვაში, დარჩება თუ არა მაშინ კომუნიზმის დროს მუდმივი არმია და, მაშასადამე, სახელმწიფო?

იმ საკითხზე, რომ სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფო, შინაგანი ამოცანების თვალსაზრისითაც კი, უნდა არსებობდეს თვით კომუნიზმის უმაღლესი ფაზის დამყარებამდე და განმტკიცებამდე, სრული კომუნიზმის განხორციელებამდე, — არსებობს ლენინის შემდეგი მნიშვნელოვანი თეორიული მითითებანი მის შრომაში „სახელმწიფო და რევოლუცია": „იმ დრომდე, ვიდრე დადგებოდეს კომუნიზმის „უმაღლესი" ფაზა, სოციალისტები მოითხოვენ **უსასტიკეს** კონტროლს საზოგადოების მხრით და **სახელმწიფოს მხრით** შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე..." [7]).

რაც შეეხება კომუნიზმის უმაღლეს ფაზას, ჩვეულებრივად ჩვენს პროპაგანდისტულ მუშაობაში დღემდე **გამოვდიოდით** იქიდან, რომ კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში სახელმწიფო ყოველგვარ პირობებში უნდა მოისპოს, რომ უნდა მოისპონ სახელმწიფოს ისეთი ორგანოები, როგორიცაა **მუდმივი არმია.**

განვიხილოთ ეს საკითხი ჩვენი ეპოქის, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის კონკრეტული, ისტორიული პირობების თვალსაზრისით.

ფართოდ ცნობილია ენგელსის მიერ „ანტი-დიურინგში" გამოთქმული აზრი სახელმწიფოს **კვდომის** შესახებ, როდესაც მოსპობილი იქნება კლასები:

„იმ დროიდან, რაც აღარ იქნება არცერთი საზოგადოებრივი კლასი, რომლის დათრგუნვაც საჭირო იყოს, იმ დროიდან, როდესაც კლასობრივ სახელმწიფოსთან ერთად, ცალკე არსებობისათვის ბრძოლასთან ერთად, რომელსაც წარმოშობს წარმოების ახლანდელი ანარქია, გაჰქრებიან ის შეჯახებები და ექსცესებიც (უკიდურესობანი), რომლებიც ამ ბრძოლიდან გამომდინარეობენ,— ამ დროიდან აღარაფერი იქნება დასათრგუნავი და საჭირო აღარ იქნება განსაკუთრებული ძალა დათრგუნვისათვის, — საჭირო აღარ იქნება სახელმწიფო. პირველი აქტი, რომელშიაც სახელმწიფო ნამდვილად გამოდის როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი — მფლობელობაში აღება წარმოების საშუალებებისა საზოგადოების სახელით, — ამავე დროს არის მისი უკანასკნელი დამოუკიდებელი აქტიც, როგორც სახელმწიფოსი. სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობებში მაშინ სხვადასხვა დარგებში, ერთიმეორის მიყოლებით, ზედმეტი ხდება და თავისთავად ჰქრება. პიროვნებათა მართვის ადგილს იჭერს ნივთების გამგებლობა და წარმოების პროცესებისადმი ხელმძღვანელობა. სახელმწიფო კი არ „უქმდება", იგი ჰქრება. [8]).

აყენებდა რა საკითხს კომუნიზმის დროს სახელმწიფოს კვდომის შესახებ, ენგელსი საკითხს იღებდა წმინდა თეორიულად, იღებდა მოვლენას (ამ შემთხვევაში კომუნისტურ საზოგადოებას), ასე ვთქვათ, წმინდა სახით, გარემოს პირობებისაგან განდგომით. ასე მაგალითად, ფიზიკის ზოგიერთი კანონის დემონსტრირება წმინდა სახით რომ მოახდინო, უნდა გამორიცხო ჰაერის გარემოს გავლენა: მაშინ გამოსაცდელ საგანს უჰაერო სივრცეში ათავსებენ. ასეთი ხერხი დასაშვებია საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მეცნიერული ანალიზის განსაზღვრულ საფეხურზეც — განდგომა გარემოს პირობებისაგან, რათა გამორკვეულ იქნას მოვლენა ან კანონი წმინდა სახით. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს კვდომის საკითხის წმინდა სახით აღება ნიშნავს საერთაშორისო ვითარებისაგან განდგომას.

მაგრამ სინამდვილეში, ცოცხალ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია „განვდგეთ" საერთაშორისო ვითარებისაგან. საბჭოთა საზოგადოება უჰაერო სივრცეში როდი არსებობს. გარემო, რომელშიაც ჯერჯერობით იმყოფება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, — ეს არის კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც შეურიგებლად მტრულია სოციალიზმისადმი.

ლენინი აფრთხილებდა ბოლშევიკთა პარტიას და ყველა მშრომელთ:

„ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ **სახელმწიფოთა სისტემაშიც,** და საბჭოთა რესპუბლიკის დიდი ხნით არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოსდაბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, გარდუვალია მთელი რიგი უსაშინელესი შეჯახებანი **საბჭოთა** რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუ კი მას სურს ბატონობა და თუ იგი იბატონებს, ეს უნდა დაამტკიცოს თავისი სამხედრო ორგანიზაციითაც..." [9]).

შეიძლება აგრეთვე ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფოს კვდომის საკითხის დაყენებისას ენგელსი გამოდიოდა ყველა მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის ერთდროულად გამარჯვების შესაძლებლობიდან. ამ გზიდან ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის ერთდროულად გამარჯვების შესახებ გამოდიოდნენ მარქსი და ენგელსი წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში.

მაგრამ იმპერიალიზმის ეპოქის პირობებში, როგორც ეს დაამტკიცა ლენინმა თავის შრომებში, რომლებიც მარქსიზმის განვითარებასა და განგრძობას წარმოადგენენ, „სოციალიზმს არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთდროულად **ყველა** ქვეყანაში. იგი გაიმარჯვებს თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, დანარჩენი ქვეყნები კი ერთხანს დარჩებიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად. ამან უნდა გამოიწვიოს არა მარტო უთანხმოებანი, არამედ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის პირდაპირი მისწრაფებაც სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილი პროლეტარიატის განადგურებისაკენ. ამ შემთხვევაში ომი ჩვენის მხრით კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა. ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისათვის, ბურჟუაზიისაგან სხვა ხალხების განთავისუფლებისათვის". [10]).

გარდუვალია მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდი არა მარტო „მშვიდობიანი", არამედ პირდაპირი, შეიარაღებული ბრძოლისაც მეურნეობის სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის, ვიდრე **საბოლოოდ** დამარცხებული არ იქნება კაპიტალიზმი მთელ მსოფლიოში, ვიდრე განმტკიცებული არ იქნება **სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება** მთელ მსოფლიოში ან გადამწყვეტ კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც.

თავის საუბარში ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან 1927 წელს ამხანაგი სტალინი შემდეგნაირად განსაზღვრავდა კომუნიზმის **საბოლოო** გამარჯვების, კომუნისტური საზოგადოების სრული გამარჯვების პირობებს:

„რაც შეეხება საერთაშორისო პირობებს, რომელნიც აუცილებელია კომუნისტური საზოგადოების სრული გამარჯვებისათვის, ისინი შეიქმნებიან და გაიზრდებიან რევოლუციური კრიზისებისა და მუშათა კლასის რევოლუციურ ამბოხებათა ზრდის მიხედვით კაპიტალისტურ ქვეყნებში. არ შეიძლება საქმე წარმოვიდგინოთ ისე, რომ ერთი ქვეყნის ან რამდენიმე ქვეყნის მუშათა კლასი წავა სოციალიზმისაკენ და, მით უფრო კომუნიზმისაკენ, ხოლო სხვა ქვეყნების კაპიტალისტები გულგრილად დაუწყებენ ამას ყურებას და გულზე ხელდაკრეფილი ისხდებიან. მით უფრო არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მუშათა კლასი კაპიტალისტურ ქვეყნებში დასთანხმდება იყოს უბრალო მაყურებელი სოციალიზმის ძლევამოსილი განვითარებისა ამა თუ იმ ქვეყანაში. ნამდვილად კაპიტალისტები მათზე დამოკიდებულ ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რომ ჩაახრჩონ ასეთი ქვეყნები. ნამდვილად ყოველ სერიოზულ ნაბიჯს სოციალიზმისაკენ და მით უფრო კომუნიზმისაკენ ამა თუ იმ ქვეყანაში აუცილებლად მოჰყვება კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის შეუჩერებელი მისწრაფება დაამყარონ დიქტატურა და სოციალიზმი ამ ქვეყნებში. ამრიგად, საერთაშორისო რევოლუციის შემდგომი განვითარების მსვლელობაში შეიქმნება მსოფლიო მასშტაბის ორი ცენტრი: სოციალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც მიიწევენ სოციალიზმისაკენ, და კაპიტალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც მიიწევენ კაპიტალიზმისაკენ. ამ ორი ცენტრის ბრძოლა მსოფლიო მეურნეობის დაპყრობისათვის გადასწყვეტს კაპიტალიზმის და კომუნიზმის ბედს მთელს მსოფლიოში. ვინაიდან მსოფლიო კაპიტალიზმის საბოლოო დამარცხება არის სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიო მეურნეობის ასპარეზზე". [11]).

„ბოლშევიკი" № 20.

(დასასრული იქნება)

[4]) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XXI, გვ. 437
[5]) იქვე, გვ. 139.
[6]) იქვე.
[7]) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XXI, გვ. 437.
[8]) ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგი", გვ. 230. სახპოლიტგამომცემლობა, 1938.
[9]) ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 122.
[10]) ვ. ი. ლენინი. პროლეტარული პარტიის სამხედრო პროგრამა. თხზ. ტ. XIX, გვ. 325.
[11]) ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები", გვ. 233, გამოც. მე-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფრანგეთში მომხდარი საყოველთაო გაფიცვის შედეგები

## მელითონეები

[illegible] ნაკლები, ხოლო ცალკეულ რაიონებში 90 და 100 პროცენტსაც კი აღწევდა. შემდეგ ცნობაში მოყვანილია ზოგიერთი კონკრეტული მონაცემი, რომლებიც ახასიათებენ მელითონეთა მონაწილეობას გაფიცვაში. ასე, მაგალითად, პარიზის რაიონში 300 ათასი მელითონიდან გაფიცვაში მონაწილეობდა 80 პროცენტი, სანტ-ნაზარში გაფიცული [illegible] მელითონიდან—90 პროცენტი. ჰავრში 12 ათასიდან — 95 პროცენტი. სენ-შამონში 20 ათასიდან—80 პროცენტი. რივ-დე-ჟიეში, სადაც 20 ათასი მელითონეა,—100 პროცენტი. დიუნკერკში, სადაც 5 ათასი მუშაა—100 პროცენტი. მონბემში 25 ათასი მუშიდან—80 პროცენტი. მარსელში, სადაც 8 ათასი მელითონეა,—100 პროცენტი და სხვ.

## ფეიქრები

**პარიზი,** 1 დეკემბერი (საკდესი). „ლუმანიტეს“ მოჰყავს ცნობები საყოველთაო გაფიცვაში საფეიქრო მრეწველობის მუშათა მონაწილეობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, რუბესა და მის მიდამოებში გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო ყველა ფეიქრის 80—85 პროცენტმა. ლილსა და მის მიდამოებში გაფიცული იყო ყველა მუშის 85—90 პროცენტი, ამასთან ხელისუფლებამ რამოდენიმე კაცი დააპატიმრა. დიუნკერკში გაფიცული იყო ფეიქართა 100 პროცენტი, პრემონტრში—70 პროცენტი, სეკლენში — 80 პროცენტი, ტურკუენში—40 პროცენტი. აღნიშნავენ, რომ ტურკუენში ყველა ფეიქრის დაახლოებით 40 პროცენტი ბელგიელი მუშები არიან, რომლებსაც ემუქრებოდნენ, რომ თუ ისინი გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებდნენ, მათ მუშის ბარათებს ჩამოართმევდნენ. ალენსა და რონკში გაფიცული იყო ფეიქართა 50 პროცენტი, რუანსა და მის მიდამოებში — 70-დან 80-მდე პროცენტი.

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოწოდება

**პარიზი,** 1 დეკემბერი (საკდესი). „ლუმანიტე“ აქვეყნებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოწოდებას საგანგებო დეკრეტების წინააღმდეგ მიმართულ საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის შედეგებთან დაკავშირებით. მიუთითებს რა გაფიცვაში მრეწველობის ყველა დარგის მუშების მონაწილეობის მაღალ პროცენტს და ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ გაფიცვა მიმდინარეობდა მთავრობის საგანგებო ღონისძიებათა პირობებში, საფრანგეთის კომპარტია აცხადებს, რომ გაფიცვა არის „საფრანგეთის მშრომელთა პასუხი სოციალური რეაქციის პოლიტიკაზე და მთელი საფრანგეთის ხალხის ნამდვილი გრძნობების გამოხატულება“.

# სპააკის განცხადება ბელგიის სენატში

**ბრიუსელი,** 1 დეკემბერი (საკდესი). გუშინ პრემიერ-მინისტრმა სპააკმა სენატში განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა ახლავე დაიწყოს მოლაპარაკება თავისი სავაჭრო წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ ბურგოსში (ესპანეთის მეამბოხეთა ეგრეთწოდებულ „მთავრობის“ ადგილსამყოფელი).

სპააკმა განაცხადა შემდეგ, რომ მთავრობა უკან გამოიწვევს ბელგიის წარმომადგენელს „ჩაურევლობის“ ლონდონის კომიტეტიდან, წინადადებას შეიტანს შეიქმნას „ესპანეთის მოსახლეობის დამხმარე“ საერთაშორისო კომისია და მოუწოდებს სახელმწიფოებს შუამდგომლობა გასწიონ მებრძოლ მხარეთა შორის ესპანეთში.

კამათში გამოსულმა კომუნისტმა სენატორმა კოელმა მკაცრი პროტესტი განაცხადა მთავრობის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ გენერალ ფრანკოს ცნობა, რასაც მიზნად აქვს მისთვის მებრძოლი მხარის უფლებათა მინიჭება, ნამდვილად არის დახმარების გაწევა ესპანეთის ფაშისტი მეამბოხეებისათვის, რომელთაც სურთ ესპანეთის ხალხი შიმშილითა და სიცივით დაჰხოცონ.

ბელგიის სენატმა დაამტკიცა მთავრობის დეკლარაცია 88 ხმის უმრავლესობით. 50 სოციალისტმა თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. 13 კაცმა (კომუნისტმა და სოციალისტმა) დეკლარაციის წინააღმდეგ მისცა ხმა.

# „ნეიტრალურ სახელმწიფოთა“ პოზიცია ესპანეთის საკითხში

**ლონდონი,** 1 დეკემბერი (საკდესი). ესპანეთის საქმეებში „ჩაურევლობის“ შესახებ დადებული შეთანხმების გატარებისათვის კონტროლის გამწევი კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან ჰოლანდიელ ვან-დულმის წასვლას დაემთხვა შვეციის დელეგატის გასვლა ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის ბიუროდან (მაგრამ არა თვით კომიტეტიდან) და ბელგიის პრემიერ სპააკის განცხადება საერთოდ კომიტეტიდან ბელგიის გასვლის შესახებ.

ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ეგრეთწოდებულ „ნეიტრალურ სახელმწიფოთა ჯგუფს“ ანუ „ოსლოს სახელმწიფოთა ჯგუფს ეკუთვნიან“, სადაც შედიან აგრეთვე ჰოლანდია, შვეცია და ბელგია, სურთ გვაგრძნობინონ, რომ მათ განზრახვა აქვთ დამოუკიდებლად გადასწყვიტონ ფრანკოსთან თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

ამასთან დაკავშირებით უნებლიედ გვახსენდება ამას წინათ გავრცელებული ხმები, რომელთა თანახმადაც ინგლისის წრეები ამზადებენ იმას, რომ გენერალ ფრანკოს მიენიჭოს მეომარი მხარის უფლებები, დამოუკიდებლად ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტისა. განზრახული აქვთ ეს მოახდინონ ცალმხრივი განცხადებებით თვითონ ლონდონის კომიტეტში იმის შესახებ, რომ „სახელმწიფოები თავისთავს თავისუფლად სთვლიან კომიტეტის ვალდებულებისაგან“. ამ შემთხვევაში ფრანკო მეომარი მხარის უფლებებს მიიღებდა და ამასთან ერთად ფაშისტი ინტერვენტების ჯარებს შეინარჩუნებდა.

ლონდონის დიპლომატიურ წრეებში კითხულობენ, ხომ არ წარმოადგენს „ნეიტრალური ქვეყნების“ დემონსტრაცია ჟესტს, რომელიც შეთანხმებულია ინგლისის მთავრობასთან და რომლის მიზანიც არის გადაიქცეს სიგნალად ეგრეთწოდებულ „ცალმხრივ განცხადებათა“ მანევრის დაწყებისათვის.

# ფაშისტური ტერორის გაძლიერება სუდეტის ოლქში

**პრაღა,** 1 დეკემბერი (საკდესი). გერმანელი ფაშისტები გაძლიერებით ემზადებიან რაიხსტაგის დამატებითი „არჩევნებისათვის“, რაც უნდა ჩატარდეს 4 დეკემბერს სუდეტის ოლქის ყველა ოკუპირებულ რაიონში.

ამასთან დაკავშირებით ამჟამად გესტაპო მასობრივად აპატიმრებს მოქალაქეებს გერმანულ და ჩეხ მოსახლეობაში. გროტაუსა და მაფერსდორფში სამი დღის წინათ 200 კაცი დააპატიმრეს. ასობით დაპატიმრებული იგზავნება საკონცენტრაციო ბანაკებში. რაიხენბერგში დატუსაღებულია ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი სოციალ-დემოკრატი შეფერი. დაპატიმრებულია აგრეთვე ტურისტული საზოგადოების „ბუნების მეგობრების“ რამდენიმე ათეული მოღვაწე, თუმცა ეს ორგანიზაცია სუდეტის ოლქში მომქმედ არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ ყოფილა დაკავშირებული.

ანტიფაშისტი ჩეხების დაპატიმრებასთან ერთად ჩეხი მუშების დიდ პარტიებს სასწრაფოდ გზავნიან გერმანიის შუაგულში, სადაც მათ ვითომც სამუშაოს მისცემენ. გაგზავნის მიზანი ის არის, რომ მოუსპონ მათ „არჩევნებში“ მონაწილეობის უფლება.

# მოკლე ცნობები

● გამოირკვა, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობაში, გარდა ბერანისა, შევლენ — სიდორი, ხვალკოვსკი, გენერალი ვისი და იანეჩკი (მსხვილი მრეწველი, სამხედრო საწარმოთა პატრონი).

თუ როგორი იქნება ახალი კაბინეტის მთელი შემადგენლობა, ეს, როგორც ეტყობა, მხოლოდ ღამით გამოირკვევა.

● სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ 30 ნოემბერს ფაშისტური „პარლამენტის“ გახსნისას იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ წარმოსთქვა სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

● მეწარმეები, აგრეთვე ნაციონალიზებული საწარმოების, კერძოდ საავიაციო საწარმოების, ადმინისტრაცია გუშინდელ გაფიცვას ლოკაუტებითა და გაფიცულ მუშათა მასობრივი დათხოვნით უპასუხებენ.

● დალადიემ მოიწვია მთავრობის წევრთა თათბირი.

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ თათბირზე განხილული იყო რეპრესიული ზომები, რომლებიც მიღებული იქნება გუშინდელი გაფიცვის მონაწილეთა მიმართ.

# საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანია იტალიაში

[illegible] მაც ჩიანოს მიერ სიტყვის წარმოთქმის დროს თავი მოიყარეს „პარლამენტის“ შენობასთან.

საფრანგეთის წინააღმდეგ ამ გამოსვლებთან დაკავშირებით ფრანგული პრესა სერიოზულ შეშფოთებას და ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს.

# კამათი თემთა პალატაში საგარეო ვაჭრობის საკითხებზე

**ლონდონი,** 1 დეკემბერი (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში გაცხოველებული კამათი გაიშალა საგარეო ვაჭრობის საკითხებზე. ამ საკითხზე კამათი გახსნა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გუდსონმა, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ვაჭრობის იმ მეთოდების გულდასმითი შესწავლის შემდეგ, რომლებსაც ფაშისტური სახელმწიფოები მიმართავენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ბაზრებზე, მივიდა დასკვნამდე, რომ ფაშისტური ქვეყნების კონკურენციასთან საბრძოლველად საჭიროა ინგლისელი ექსპორტიორების გაერთიანება. გუდსონმა აღნიშნა, რომ გერმანიის ვაჭრობა ესპანელ მეამბოხეთა ტერიტორიაზე გადიდდა, უმთავრესად, გერმანიის მთავრობის მიერ გენერალ ფრანკოსათვის უდიდესი სამხედრო მასალის მიწოდების ხარჯზე. ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ბატონობის დამყარების მიზნით,—განაგრძობდა გუდსონი,—გერმანია ამ ქვეყნების ბაზრებზე საქონელს უფრო მაღალ ფასად ყიდულობს, ვიდრე იგი მსოფლიო ბაზარზე ღირს, რასაც სჩადის გერმანელი ხალხის საარსებო ინტერესების ხარჯზე, ეს ხალხი კი იძულებულია გადიდებულ ფასად შეისყიდოს საქონელი შინაურ ბაზარზე. ამგვარად, გერმანიის მთავრობას, რომელიც თავის საკუთარ ქვეყანაში უდიდეს მოგებას ღებულობს, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში პოზიციების დაპყრობის მიზნით ამ ქვეყნების ბაზრებზე საქონელი შემცირებულ ფასებში (თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში) გააქვს.

# მ. ბოტვინიკის გამოსვლა „ბოტვინიკის“ კლუბში

**ამსტერდამი,** 1 დეკემბერი (საკდესის სპეციალური კორესპონდენტისაგან). ამსტერდამში არსებობს ორი საჭადრაკო კლუბი, რომლებიც საბჭოთა გროსმაისტერის მიხეილ ბოტვინიკის სახელს ატარებენ. გუშინ მ. ბოტვინიკი გამოვიდა ერთერთ ამ კლუბში, სადაც მისცა 25 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი. სეანსი ორ საათს გრძელდებოდა. საბჭოთა გროსმაისტერმა მოიგო 24 პარტია და ერთი ყაიმით დაამთავრა.

# მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილეები თბილისში

[illegible] მგზნელი მუშაკები.

რაზმის მეთაურები ამხ. დიაკონოვი და ჩელოხსაევი და ორდენოსანი ამხ. ორცხანოვი მიიღო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, კორპუსის მეთაურმა ტიულენევმა.

საღამოს წითელი არმიის სახლის სათეატრო დარბაზში შესდგა ლაშქრობის მონაწილეთა საზეიმო შეხვედრა თბილისის მებრძოლებთან. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. თ. ბირკაძე, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კ. ცომაია და სხვ.

სიტყვით გამოვიდა ლაშქრობის მეთაური ამხ. დიაკონოვი, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო ლაშქრობის ცალკეული ეპიზოდებისა და იმ გმირობათა შესახებ, რომელიც ლაშქრობის მონაწილეებმა უდელ- [illegible]

თბილისის მოსწავლეთა და პიონერთა სახელით ლაშქრობის მონაწილეებს მგზნებარე სიტყვით მიესალმა პიონერი აიზენბერგი და ა.-კ. სამხედრო ოლქის მებრძოლთა სახელით ამხ. ზუსმანოვიჩი; თბილისის კომკავშირელებისა და ფიზკულტურელების სახელით მოლაშქრეებს მიესალმნენ ამხ. ლელიძი და ამხ. ხოშტარია.

დასასრულ სტუმრების პატივსაცემად გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის საუკეთესო სათეატრო ძალებმა.

O

დღეს სამთო ლაშქრობის მონაწილენი მიემგზავრებიან ქალ. გორში, სადაც დაათვალიერებენ იმ სახლსა და ადგილებს, სადაც დაიბადა და ბავშვობის პირველი წლები გაატარა ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა.

4 დეკემბერს სტუმრები ბრუნდებიან ორჯონიკიძეში.

# თბილისის თბოფიკაციის გეგმა

თბილისის თბოელექტროცენტრალის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით, თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ქალაქის თბოფიკაციის განხორციელების შესახებ. თბოფიკაცია ნიშნავს იაფი სათბობი ენერგიის განაწილებას და გავრცელებას სპეციალური ქსელის საშუალებით საცხოვრებელ სახლებსა და დაწესებულებათა შენობებში. თბილისის თბოფიკაციის ბაზად, ანუ წყაროდ, უნდა იქნეს თბილისის თბოელექტროცენტრალი, რომელიც ნაწილობრივ უკვე წელს იწყებს მუშაობას.

ქალაქის თბოფიკაციის პირველი რიგის სამუშაოთა გეგმის დამუშავება უნდა დამთავრდეს 1939 წელს. ამ გეგმის დამუშავება თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით თელასმა უნდა მიანდოს „ქალაქპროექტს“.

# „ვეფხის-ტყაოსანი“ აფხაზურ ენაზე

**სოხუმი,** (საკ. კორ.). აფხაზეთის სახალხო მწერალი, ორდენოსანი დიმიტრი გულია ამთავრებს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ აფხაზურ თარგმანს. უკვე თარგმნილია 1500-მდე ტაეპი. პოემის თარგმნა მთლიანად დასრულდება 1939 წლის პირველ ნახევარში. მას ცალკე წიგნად მდიდრული გამოცემით გამოსცემს აფხაზეთის სახელგამი.



მფრინავების შეცვლა ხანგრძლივი გადაფრენების დროს. ლანკასტერში (აშშ, კალიფორნია) მოახდინეს ცდა მფრინავის შეცვლისა ფრენის დროს. თვითმფრინავი ავტომობილის თავზე მიფრინავდა იმავე სისწრაფით, როგორც ავტომობილი მიდიოდა. თვითმფრინავიდან ჩამოუშვეს თოკის კიბე, რომელზედაც ავიდა შემცვლელი მფრინავი. „სოიუზფოტო“



დამთავრდა ახალი ხმოვანი კინოფილმის „ალექსანდრე ნეველის“ გადაღება. სურათზე: კადრი ფილმიდან. ალექსანდრე ნეველის როლში რსფსრ დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი ნ. ჩერკასოვი (შუაში)

# მხატვარ ე. თათეოსიანის ნახატების გამოფენა

დღეს, 3 დეკემბერს საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის სამხატვრო გალერეაში იხსნება სომხეთის დამსახურებული მხატვრის ეღიშე თათეოსიანის სურათების გამოფენა.

მხატვარ ე. თათეოსიანის შემოქმედება მრავალფეროვანია. თათეოსიანი დაიბადა 1870 წელს სომხეთში ქ. ვაღარშაპატში (ყოფ. ეჩმიაძინი) მეწისქვილის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თბილისში, რის შემდეგ შევიდა მოსკოვის საფერწერო და საარქიტექტურო სასწავლებლებში, რომლებიც დაამთავრა 1895 წელს.

სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ე. თათეოსიანმა იმოგზაურა უცხოეთში. მოიარა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი, გაამდიდრა თავისი შემოქმედებითი თემატიკა და ტილოზე ასახა მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

ე. თათეოსიანის შემოქმედებაში მთავარი ადგილი პეიზაჟს და პორტრეტს უჭირავს. გამოფენაზე, რომელიც დღეს იხსნება, წარმოდგენილია მხატვრის მთლიანი ნამუშევარი — ფერწერა, ქანდაკება და მინიატურები. გამოფენა შესდგება 650 ექსპონატისაგან.

# ზამთარი საქართველოში

უკანასკნელ დღეებში, საქართველოში ამინდის შესამჩნევ ცვალებადობას აქვს ადგილი. ზამთარი დადგა. რესპუბლიკის თითქმის ყველა მთიან ადგილებში მოთოვა. პირველ დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოში იყო საერთო მოღრუბლულობა, წვიმდა, ზოგან კი თოვდა, მაგალითად, ახალქალაქის რაიონსა და ბაკურიანში.

დასავლეთ საქართველოში იყო ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად სიმშრალე და სუსტი ქარი, ჰაერის ტემპერატურა იყო: მესტიაში — დღისით 5 გრადუსი სითბო, ღამით 2 გრადუსი სიცივე. გაგრაში დღისით 17 და ღამით 9 გრადუსი სითბო იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მუკუზანში 10 გრადუსი სითბო, აბასთუმანსა, ახალციხესა და ბაკურიანში იყო 4 გრადუსი სიცივე, ხოლო თბილისში 6 გრადუსი სითბო.

# ქვანახშირი და მარგანეცი

1 დეკემბრისათვის

(ტონობით)

| | გეგმა | შესრულებ. | %% |
|---|---|---|---|
| ტყიბული | 1012 | 1033 | 102,1 |
| ტყვარჩელი | 735 | 948 | 129 |
| ჭიათურა | 5530 | 4822 | 87 |

## სასამართლო

# ცოლის მკვლელი

პირველ ხანებში ტკბილად ცხოვრობდა ცოლ-ქმარი.

გავიდა ხანი და ოჯახს შეეძინა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე შვილი.

ბავშვებზე ზრუნვის საჭიროებამ გაართულა ცოლ-ქმრის ურთიერთობა. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბარველაშვილმა გული აიცრუა ოჯახზე, დაუწყო ცემა უდანაშაულო ცოლს და ხელი მიჰყო ხულიგნობას. ხშირად სახლშიაც არ მოდიოდა. ცოლშვილს სახარჯო ფულს არ აძლევდა. ბევრჯერ დასცილდნენ ისინი ერთმანეთს, მაგრამ ხელახლა შერიგდნენ, თუმცა არც გაშორების ხანებში და არც ერთად ცხოვრებისას ნიკოლოზ ბარველაშვილი არ ზრუნავდა ბავშვებსა და ოჯახზე.

— ბავშვებისათვის პურის ფული მომეცი, მეტი არაფერი მინდა შენი, — ემუდარებოდა ცოლი გულქვა ქმარს, მაგრამ მაგივრად კვლავ ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდა ნიკოლოზი თავის ცოლს.

საბოლოოდ ნიკოლოზ ბარველაშვილმა სრულიად გასწყვიტა კავშირი ცოლ-შვილთან და გადავიდა საცხოვრებლად თავის დედასთან. ნ. ბარველაშვილის ცოლი გალინა ბარველაშვილი ხშირად უსაყვედურებდა ნიკოლოზის დედას: „პატარა ბავშვები მშივრები მყავს და რატომ ცოტა ყურადღებას მაინც არ მაქცევთო“.

ბოლო ხანებში საქმემ მწვავე ხასიათი მიიღო. ნიკ. ბარველაშვილმა გადასწყვიტა თავიდან მოეშორებინა თავისი ცოლი და 1938 წლის 12 ოქტომბერს ღამით ბასრი დანით გამოღადრა ყელი გალინა ბარველაშვილს. მკვლელი შეიპყრეს და სამართალში მისცეს. მან თავი დამნაშავედ სცნო.

ამ დღეებში ლენინის რაიონის მე-1 უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ალ. არჩვაძის თავმჯდომარეობით საჩვენებელი პროცესით გაარჩია გულქვა მშობლის, ცოლის მკვლელის ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბარველაშვილის საქმე და მიუსაჯა მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ბანაკში გადასახლებით და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით სამოქალაქო უფლებების აყრით.

**გ. სურგულაძე.**

# პარტკალენდარი

**ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში**

3 დეკემბერს:

**საერთაშორისო მდგომარეობის კაბინეტი** — ლექცია: ჩინელი ხალხის ბრძოლა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. გეგია. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

O

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახ. რაიკომი იუწყება, რომ საკანდიდატო ბარათი № 0930592, გაცემული ამავე რაიკომის მიერ სერგო გიორგის-ძე ულენტის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

O

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომი იუწყება, რომ საკანდიდატო ბარათი № 0715208, გაცემული ამავე რაიკომის მიერ გიგია ჩაჩაურას-ძე წიკლაურის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**


**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 3/XII | კოლმეერნის ქორწინება |
| 4/XII | ურიელ აკოსტა |
| 5/XII | ნაპერწკლიდან |

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**
1938-39 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 3/XII | წარმოდგენა 62 ელანდმაულოდ დამნაშავენი |
| 4/XII | წარმოდგენა 63 ოტელო |
| 5/XII | წარმოდგენა 64 ნაპერწკლიდან |

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი** 1938-39 წ. სეზონი

| 3/XII | 4/XII | 5/XII |
|---|---|---|
| მუდმ. ადგ. ტალ. № 39 | მუდმ. ადგ. ტალ. № 34 აბ. № 5 | მუდმ. ადგ. ტალ. № 40 აბ. № 7 |
| რიგოლეტო | ესმერალდა | სევილიელი დალაქი |

დასაწყისი 8 საათზე.

**1938 წლის 11-12 დეკემბერს ქალაქ რიაზანში შესდგება სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მოგებათა მე-4 ტირაჟი.**

**ტირაჟში გათამაშებული იქნება 265.000 მოგება 43.703.000 მანეთის რაოდენობით.**

მოქალაქეებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე და რაიმე მიზეზით დღემდე არ მიუღიათ თავისი ობლიგაციები, ახლავე უნდა მიიღონ ეს ობლიგაციები ხელისმოწერის ადგილზე ცენტრალურ ან რაიონულ შემნახველ სალაროებში, სადაც ობლიგაციები გადაცემულია საწარმოთა და დაწესებულებათა ბუხჰალტერიის მიერ.

ხელისმომწერლები, რომლებიც 11 დეკემბრამდე არ მიიღებენ სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციებს, მონაწილეობას ვერ მიიღებენ მომავალ ტირაჟში.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.**

1367 2—2


თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანიული ქიმიის კათედრა იუწყება თავისი წევრის დოცენტ

**ოლღა გიორგის-ასულ ვეფხვაძე-გურგენიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3 დეკემბერს, საღ. 6 საათზე, მაქსიმ გორკის ქ. (ყოფ. კრასნოგორსკის), 35. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 4 დეკემბერს, 4 საათზე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე ჩოდრიშვილი ოჯახის წევრებით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს ძვირფას

**სოფიო გიორგის-ასულ ჩოდრიშვილის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 4 საათზე, დაკრძალვა ამავე დღეს 5 საათზე.

**საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი**

**მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისა და მეღვინეობის მრეწველობის ტრესტის „სამტრესტის“ ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის**

(ათას მანეთებში)

| №№ რიგ. | აქტივი: მუხლების დასახელება | თანხა 1937 წლ. 1 იანვრისათვის | თანხა 1938 წლ. 1 იანვრისათვის | №№ რიგ. | პასივი: მუხლების დასახელება | თანხა 1937 წლ. 1 იანვრისათვის | თანხა 1938 წლ. 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი (შენობები, ნაგებობანი, მანქანები, ხელსაწყოები, ინვენტარი და სხვ. | 52.298,5 | 54.002,3 | 1 | საწესდებო ფონდი | 57.061,4 | 82.597,6 |
| 2 | ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალა, სათბობი და ტარა | 24.544,7 | 35.714,3 | 2 | დანარჩენი ფონდები | 2.646,8 | 2.128,5 |
| 3 | ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება | 15.585,0 | 20.249,2 | 3 | რეზერვები და მომავალი გადასახდელები | 453,6 | 492,8 |
| 4 | საქონელი და მზა პროდუქცია | 41.848,5 | 20.103,2 | 4 | გრძელვადიანი კრედიტები | 297,0 | 12,9 |
| 5 | გაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაო | 10.711,8 | 8.709,8 | 5 | მოკლევადიანი საბანკო კრედიტები | 57.094,6 | 40.724,4 |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორებებში (დებიტორები) | 19.065,9 | 9.313,4 | 6 | ანგარიშსწორებანი კრედიტორებთან | 30.330,1 | 12.823,8 |
| 7 | ფულადი საშუალებანი (საანგარიშსწორებო ანგარიში, სალარო) | 6.197,4 | 8.579,3 | 7 | შინაგანი ანგარიშსწორებანი | — | 132,0 |
| 8 | ხარჯები მომავალი წლების ანგარიშში | 1.093,0 | 418,7 | 8 | დანარჩენი პასივები | 1.480,0 | 219,5 |
| 9 | შინაგანი ანგარიშსწორებანი | 253,9 | 2.335,3 | 9 | მოგება საანგარიშო წლისა | 24.141,2 | 26.184,6 |
| 10 | დანარჩენი აქტივები (ფასიანი ქაღალდები და სხვ.) | 1.856,0 | 5.890,6 | | | | |
| | ბალანსი | 173.504,7 | 165.316, | | ბალანსი | 173.504,7 | 165.316,1 |

**1937 წლის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები.**

ა) წარმოების ხაზით

1. პროდუქციის გამოშვება (მრეწველობის ხაზით):
   ა) 1937 წლის საბითუმო-გასაშვებ ფასებში — ათ. მან. 176.688
   ბ) პროცენტობით გეგმის მიმართ — % 103,2
2. თვითღირებულება შემცირებულია გეგმასთან შედარებით (მრეწველობის ხაზით) — % — 0,27
3. შრომის ნაყოფიერება პროცენტობით გეგმის მიმართ (მრეწველობის ხაზით) — % — 83,4
4. ერთი საწარმოო მუშის შრომის ნაყოფიერება პროცენტობით გეგმის მიმართ (მრეწველობის ხაზით) — % 95,7
5. ანარიცხები წლის განმავლობაში საწარმოს დირექტორის ფონდში — ათ. მან.—2.500,0
6. დახარჯულია დირექტორის ფონდის ანგარიშში — „ „ 2.312,0
   აქედან ა) კულტ. საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე — „ „ 826,0
   ბ) დაჯილდოებაზე — „ „ 276,0
   გ) საწარმოთა რეკონსტრუქციაზე და გაფართოვებაზე — „ „ 1.112,0
7. გადახარჯვები და დანაკარგები:
   ა) გადახარჯვები სამქროს ხარჯების ხაზით — ათ. მან. 139
   ბ) გადახარჯვები საერთო საქარხნო ხარჯების ხაზით — „ „ 724
   გ) გადახდილი საურავი, ჯარიმა, საუჯირო — „ „ 779
   დ) ნედლეულის, მასალის, სათბობის და პროდუქციის ნაკლებობა საწყობებში (ზედმეტის გამოკლებით) — ათ. მან. 465
   ე) დანაკარგები წუნისაგან — „ „ 158
   ვ) დანაკარგები გაცდენებისაგან — „ „ 62

ბ) მშენებლობის ხაზით.

1. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია — 57,5 %-ით
2. შესრულებულია სამუშაო:
   ა) გეგმით გათვალისწინებული ღირებულებით — ათ. მან. 7.038,2
   ბ) ფაქტიური ღირებულებით — „ „ 7.067,0
3. გადაცემულია საექსპლოატაციოდ ფაქტიური ღირებულებით — 6.587,4

სამტრესტის დირექტორი **აზარაშვილი.** მთავარი ბუხჰალტერი **კუბლაშვილი.**

ბალანსი და მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ.

1313 საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის მთავარი ბუხჰალტერი **პურადაშვილი.**

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლ.-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ე—1405